ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის მუშაკებო! გააუმჯობესეთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება! განავითარეთ მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 78 (3817)
1969 წ.
20 აპრილი.
კვირა.
ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

ფეხბურთელებს მატჩი ჩაუშალა... თოვლმა

ლვოვი, 19 აპრილი. გაზაფხულის ყვავილობას აქ ერთბაშად დაესხა თავს... თოვლი. სწორედ ამიტომ ვერ შედგა დღეისთვის დანიშნული მატჩი სსრ კავშირის ფეხბურთელთა პირველ და მეორე ნაკრებ გუნდებს შორის.

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის გუშინწინდელ მატჩში: „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) გოლები მასპინძელთა კარში გაიტანეს ბურჩალკინმა (78-ე წ.) და უნანოვმა (90-ე წ.).

მსოფლიო არენა

● **მონტევიდეო,** 18 აპრილი. მაშ ასე: ხვალ აქ დაიწყება და 27 აპრილამდე გაგრძელდება „ხუთი კონტინენტის თასზე“ ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების-შეჯიბრების დასკვნითი ეტაპი. როგორც ცნობილია, ამ პრიზისთვის იბრძოლებენ ბრაზილიის, გდრ-ის, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩეხოსლოვაკიის, ურუგვაისა და იაპონიის ნაკრები გუნდები. წინასწარ შეჯიბრებებში წარუმატებლად მოასპარეზე კოლექტივები (ვენესუელა, კუბა, მექსიკა, ტუნისი და ჩილი) სანტ-იაგოში გამართავენ დამამშვიდებელ ტურნირს. ურუგვაის დედაქალაქში შესარჩევი შეჯიბრებების ბოლო დღეს სენსაცია მოხდა: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფრენბურთელებმა დამაჯერებლად აჯობეს მექსიკის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორებს — იაპონელებს — 3:1 (15:6, 14:16, 15:2, 15:10. მეხიკოში იაპონელებმა ანგარიშით 3:0 დაამარცხეს გერმანელები). სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ გდრ-ის გუნდის ძალიან თვალსაჩინო პროგრესს. აქ გამართულ მეორე მატჩში, რომელსაც ასევე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა წინასწარი შეჯიბრებების შედეგებზე, ამერიკელთა ნაკრებმა, ისევე, როგორც XIX ოლიმპიურ თამაშებში, სძლია ბრაზილიის გუნდს — 3:0 (15:4, 15:13, 15:12). ვენესუელელებმა მოუგეს შეხვედრა აფრიკის ჩემპიონს — ტუნისის ნაკრებს—3:1 (15:10, 12:15, 15:12, 15:12). ჩილის დედაქალაქში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა აჯობა კუბელებს — 3:0 (15:8, 16:14, 15:10).

● **მიუნხენი,** 18 აპრილი. მაგიდის ჩოგბურთელთა XXX მსოფლიო ჩემპიონატში იაპონელებმა, საბჭოთა სპორტსმენების მსგავსად, წარმატებით აიღეს სტარტი: თავიანთ ქვეჯგუფებში „ამომავალი მზის ქვეყნის“ ქალთა გუნდმა დაამარცხა ავსტრიელები— 3:0, ხოლო ვაჟთა ნაკრებმა — ისრაელის სპორტსმენები — 5:0. საბჭოთა გუნდების გამარჯვებას აქ სავსებით კანონზომიერ მოვლენად მიიჩნევენ. მაგიდის ჩოგბურთის სპეციალისტები აღნიშნავენ სსრ კავშირის წარმომადგენელთა კარგ თამაშს კანადელებთან მატჩში. აქ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ს. გომოზკოვმა და ა. ამელინმა. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ისინი სერიოზულ მეტოქეობას გაუწევენ ფავორიტებს — იაპონელებს. საუცხოოდ ითამაშეს ჩილის გუნდთან გ. ვარდანიანმა, ს. სარხოიანმა და უ. ეგლიტისმა, რომლებმაც მეტოქეებს მხოლოდ ერთი ხელი დაუთმეს ხუთ შეხვედრაში. ვაჟთა გუნდების მატჩებში, რომლებიც ქალთა კოლექტივების მსგავსად, 12 ქვეჯგუფად არიან დაყოფილი, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, იუგოსლავიისა და გფრ-ის წარმომადგენლებმა იოლად (5:0) დაამარცხეს თავიანთი მეტოქეები. ასევე უფათერაკოდ მიაღწიეს საწადელს ინგლისის, უნგრეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის ქალთა გუნდებმა — 3:0. მოულოდნელად გამოეთიშა ჩემპიონატს ვაჟთა ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი — რუმინეთისა. ოფიციალური განცხადებით, ამ გუნდის წევრები ჟურჟუკა, ნეგულესკუ და რეტი სწავლით იყვნენ დაკავებული და შეჯიბრებისთვის სათანადოდ ვერ მოემზადნენ. გუნდური ტურნირები დამთავრდება: ქალთათვის 21 აპრილს, ვაჟთათვის — 22 აპრილს. 24-27 აპრილს ჩატარდება პირადი პირველობა.

● **ივანო-ფრანკოვსკი,** 18 აპრილი. დღეს აქ დაიწყო სსრ კავშირის „კლასიკოსთა“ ფინალური შეჯიბრებები ხუთ წონით კატეგორიაში — ჩემპიონთა ოქროს მედლებისთვის იბრძოლებენ უმჩატესი, ქვემსუბუქი, პირველი ქვესაშუალო, მეორე საშუალო და მძიმე წონის წარმომადგენლები. აქ გამოვა მოსკოვის, ლენინგრადისა და 13 მოკავშირე რესპუბლიკის 100 საუკეთესო სპორტსმენი, მათ შორის, სსრ კავშირის, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები და ექს-ჩემპიონები: ა. იურკევიჩი, ვ. ანისიმოვი, ი. გრიგორიევი, რ. კაზაკოვი, ვ. ოლენიკი, რ. ბოგდანასი და სხვ. ჩემპიონატი ოთხ დღეს გასტანს.

● **ზაპოროჟიე,** 18 აპრილი. ადგილობრივ სპორტულ დარბაზში, რომელსაც „სტრელა“ ჰქვია, დღეს დაიწყო სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების ჩემპიონატის მეორე ტური. უძლიერეს 8 გუნდს შორის მოსახვედრად (ეს გუნდები გაითამაშებენ საპრიზო ადგილებს და ჩემპიონსაც გამოავლენენ) პირველი ჯგუფის 14 კოლექტივი იბრძვის: ტაშკენტის „ბურევესტნიკი“, კაუნასის „ჟალგირისი“, მოსკოვის „კუნცევო“, კიევის ასკ, კრასნოდარის „ბურევესტნიკი“, ლვოვის ასკ, ზაპოროჟიეს „ბურევესტნიკი“, მოსკოვის „მეტროსტროი“, მინსკის „პოლიტექნიკი“, ცსკა, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი, თბილისის „ბურევესტნიკი“, რიგის „დაუგავა“ და ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი“. პირველ ტურში დაგროვილი კარგი მარაგით (12 ქულა) აქ ჩამოვიდნენ „კუნცევოს“ ხელბურთელები. 10-10 ქულა აქვთ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტისა და კრასნოდარის „ბურევესტნიკის“ წარმომადგენლებს. მეორე ტურის მატჩები 26 აპრილს დამთავრდება.

5:3

ლვოვი, 18 აპრილი. აქ გრძელდება წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის დასკვნითი ტურის შეჯიბრება.

მესამე დღის მატჩებიდან განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა მოსკოვის „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „ბალტიკის“ შეხვედრა. საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე ანგარიში საყაიმო იყო — 4:4. მაგრამ ამ დროს ლენინგრადელები 4-მეტრიანი საჯარიმოთი დაჯარიმდნენ. მოსკოველებმა კარგად გამოიყენეს ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა და გაიმარჯვეს — 5:4.

შეჯიბრების ლიდერების — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბისა და მოსკოვის „დინამოს“ მატჩი დაძაბული ბრძოლის შემდეგ ფრედ — 2:2 — დამთავრდა.

კვლავ კარგად ითამაშეს თბილისის დინამოელებმა. ამჯერად მათ დაამარცხეს წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის (ბაქო) გუნდი —5:3.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (ალმა-ათა) 6:5, მოსკოვის უნივერსიტეტი — „დინამო“ (ლვოვი) 3:3.

გუშინ

შ. რუსთაველის სახელობის თეატრში შედგა ნ. გაფრინდაშვილ — ა. კუშნირის მატჩის VI პარტია მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში. პარტია გადაიდო გაფრინდაშვილის უპირატესობით. ამ შეხვედრის დამთავრება მოეწყობა დღეს.

◆ **მიუნხენი,** 19 აპრილი. მაგიდის ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე XXX მსოფლიო ჩემპიონატში ახალ წარმატებებს მიაღწიეს საბჭოთა სპორტსმენებმა: ორივე გუნდი ნახევარფინალში გავიდა. ვაჟთა ნაკრებმა ბოლო შესარჩევი შეხვედრა მოუგო ჰოლანდიელებს (5:0), ხოლო ქალთა გუნდმა — შოტლანდიელებს (3:0). ნახევარფინალში ვაჟები ეთამაშებიან მსოფლიო ჩემპიონებს — იაპონელებს, აგრეთვე, იუგოსლავიის, უნგრეთის, ინგლისისა და დანიის კოლექტივებს, ხოლო ქალები — ჩეხოსლოვაკიის, ინგლისის, სამხრეთ კორეის, იუგოსლავიისა და პოლონეთის წარმომადგენლებს.

◆ **ტაშკენტი,** 19 აპრილი. ერთი დღე და ერთი კილომეტრი — ასეთი მანძილი იდო ადგილობრივ კორდოდრომზე დამყარებულ საკავშირო რეკორდებს შორის. ჯერ თავი გამოიჩინა ტაშკენტელმა ვ. სტოიანოვმა, რომლის ავტომობილის მოდელმა (10 კბ სმ კლასი) 2-კილომეტრიან მონაკვეთზე საათში 200 კმ სისწრაფე განავითარა. და აი, მეორე დღეს, სპორტის ოსტატ ა. კოლტაკოვის (აზერბაიჯანი) მოდელმა ამ ტრასაზე 201 კმ სისწრაფე აჩვენა. „მძლავრ“ მეტოქეებს ცოტათი ჩამორჩა მოდელი, რომელსაც სამუშაო მოცულობის მხრივ ძრავა ორჯერ ნაკლები ჰქონდა. 195,625 კმ საათში — ასე ჩაიქროლა მოსკოველი სპორტის ოსტატის, ინჟინერ ვ. იაკუბოვიჩის მანქანამ. მან საკუთარი საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა.

◆ **მაგდებურგი,** 19 აპრილი. გდრ-ისა და სსრ კავშირის მოცურავეთა აქ მიმდინარე საერთაშორისო მატჩში საბჭოთა ნაკრებმა 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა — 7.58,5. ხაბაროვსკელმა გ. კულიკოვმა, მოსკოველებმა ს. ბელიც-გეიმანმა, ვ. ბურემ და ლ. ილიჩოვმა 0,1 წამით გააუმჯობესეს 1967 წლის 15 ივლისს პარიზში საფრანგეთის გუნდის მიერ დამყარებული ევროპული რეკორდი.

დაუნდობელი ბრძოლა წესრიგის დამრღვევთ!

წლევანდელ სეზონში საქართველოს ფეხბურთელთა გუნდების წინაშე ახალი, პირველხარისხოვანი ამოცანებია დასახული. ყველამ ვიცით, რომ შეიცვალა საკავშირო ტურნირების სისტემა, მთელი რიგი შეჯიბრებები ჩატარდება ახლებური წესით, კერძოდ, განზრახულია შემცირდეს „ა“ კლასის I და II ჯგუფების მონაწილეთა რაოდენობა, ახლებურად მოეწყობა „ბ“ კლასის კოლექტივების საკავშირო გათამაშებაც. ყოველივე ეს ჩვენი რესპუბლიკის გუნდებისგან მოითხოვს საგანგებო მზადყოფნას, ძალთა მაქსიმალურ მობილიზებას, რათა შევინარჩუნოთ უკვე მოპოვებული პოზიციები და ახალ წარმატებებს მივაღწიოთ.

ამ ამოცანათა შესასრულებლად საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ, არ დავიშუროთ ენერგია, მონდომებით ვიმუშაოთ საერთო საქმისთვის.

ჩვენს წინაშე კვლავინდებურად დგას უაღრესად მნიშვნელოვანი საზრუნავი: აღვზარდოთ ოსტატთა გუნდებისთვის მაღალი კლასის ფეხბურთელები. ისეთი რაოდენობის კოლექტივებისთვის, როგორიც ახლა ჰყავს საქართველოს, არა ერთეული ნიჭიერი ფეხბურთელი, არამედ მასობრივი რეზერვი გვჭირდება.

ყველაფერი ეს კარგად ცნობილია. ცნობილია ისიც, რომ ე. წ. „ბინძური თამაში“, უხეშობა ყოველმხრივ აფერხებს მაღალი კლასის ფეხბურთელთა აღზრდას და დაწინაურებას. და მიუხედავად ამისა, ჩვენს საფეხბურთო მინდვრებზე ჯერ კიდევ საკმაოდაა ფეხმოდგმული უხეში თამაში. ფეხბურთის მოყვარულებს ახსოვთ, რომ ამას წინათ სერიოზული ხასიათის რამდენიმე დარღვევა მოხდა უმაღლესი ლიგის გუნდების შეხვედრებში და საკავშირო ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ შესაბამისი ზომებიც მიიღო.

სამწუხაროდ, უხეშობა ჯერ კიდევ ხდება რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებშიც. მაგალითად, შ. შავგულიძის სახელობის თასის ტურნირში ჩადენილი ყოვლად უხამსი საქციელისთვის, უხეშობისა და ლანძღვა-გინებისთვის მინდვრიდან გაძევებულ იქნენ გორის „დილის“ ფეხბურთელები კობიაშვილი და გალიცკი და რუსთავის „მეტალურგის“ მოთამაშეები გვენცაძე და დანელია. მსაჯთან შეკამათებისთვის მინდვრიდან გააძევეს ზუგდიდის „ენგურის“ მოთამაშე სილაგაძე, რომელსაც 3 მატჩით მიეცა დისკვალიფიკაცია.

ცალკე საუბრის თემას წარმოადგენს ქობულეთის „შუქურას“ მეორე მწვრთნელის ნ. ჩაჩუას საქციელი. აღნიშნულ პრიზზე ქობულეთის „შუქურასა“ და ზუგდიდის „ენგურის“ მატჩში, შესვენების დროს, ჩაჩუა, ნაცვლად იმისა, რომ ყოფილიყო თავის გუნდთან და შეესრულებინა მწვრთნელის მოვალეობანი, საგანგებოდ ამხედრებდა მაყურებლებს სოხუმელი მსაჯის მ. ხუტაბას წინააღმდეგ და ბოლოს ისე გათავხედდა, რომ ხელიც კი გაარტყა მას.

განა ეს უპრეცედენტო ამბავი არაა? რა უნდა ასწავლოს ჩაჩუამ ახალგაზრდა ფეხბურთელს, როდესაც თვითონ ხულიგანია და საბჭოთა სპორტსმენისთვის შეუფერებლად იქცევა? ამ უმგვანო ტიპის აღვირახსნილ საქციელს და „შუქურას“ საქმესაც მოკლე ხანში განიხილავს ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია და თავის დადგენილებას დასამტკიცებლად გადასცემს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიას. ცხადზე ცხადია, რომ ასეთ ვაი-მწვრთნელებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ჩვენს ფეხბურთში.

უნდა აღინიშნოს ზოგიერთი მსაჯის ყოვლად გაუმართლებელი ლიბერალობა და უპრინციპობა. კერძოდ, ეს შეგვიძლია ვთქვათ ხაშურელ მსაჯ ლ. ჯოხაძეზე, რომელმაც ვერ შეძლო უწესობათა აღკვეთა რუსთავის „მეტალურგისა“ და გორის „დილის“ მატჩში.

ანალოგიური ამბები ხდება საქართველოს პირველობის გათამაშებაშიც. სადღეისოდ ჩატარდა 5 ტური, მაგრამ მოთამაშეები ისე ხშირად არღვევენ წესრიგს, რომ ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია იძულებულია საგანგებოდ მიუთითოს მონაწილე გუნდების ხელმძღვანელებს, რათა მათს კოლექტივებში გაძლიერდეს პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის დონე და შესაბამისი ღონისძიებანი ჩატარდეს დისციპლინის განმტკიცებისთვის.

ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი: გალის „ეროს“ ფეხბურთელი გოთელენდია მინდვრიდან გაძევებულ იქნა და დისკვალიფიკაცია მიეცა 3 თამაშით. სამტრედიის „ლოკომოტივის“ წევრი გიორგობიანი არ დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებას და ხელის უტიფარი კვრით უნდოდა ეს უკანასკნელი აეძულებინა შეეცვალა გადაწყვეტილება. გიორგობიანიც მინდვრიდან იქნა გაძევებული. წესრიგის უხეშ დარღვევაში შემჩნეულნი არიან ოჩამჩირელი ქითანავა, ჩხოროწყუს გუნდის მოთამაშენი და სხვ.

ყველა დარღვევის ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია დაუნდობელ ბრძოლას გამართავს ხულიგანთა წინააღმდეგ, ყველა ზომას მიმართავს, რათა „ბინძური თამაში“ ჩვენს სტადიონებზე ერთხელ და სამუდამოდ ამოიკვეთოს. დანდობა არ ექნება არავის!

რესპუბლიკის ფეხბურთელთა გუნდების ხელმძღვანელებმა, თვით მოთამაშეებმაც უნდა შეიგნონ, რომ ამ სერიოზული ამოცანის წარმატებით გადაჭრაში მათ დიდი წვლილის შეტანა მართებთ.

გ. ბაქანიძე,
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე.

უვარჯიშებლად... პირველ ადგილზე

„პრავდის“ პრიზზე მძლეოსნური კროსების ადრინდელი სავალალო შედეგების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის შესაბამისმა განყოფილებამ და რესპუბლიკურმა ფედერაციამ წლევანდელი ტურნირისთვის სამზადისი ადრე დაიწყეს. შეჯიბრების დებულება ყველა (63) ორგანიზაციას დროულად გაეგზავნა. მათ დაევალათ მაღალ დონეზე ჩაეტარებინათ თავიანთი ქალაქების, რაიონების ტურნირები, შეერჩიათ ნიჭიერი კროსმენები და რესპუბლიკურ პირველობაში საასპარეზოდ გამოეგზავნათ. თბილისში ამ გადაწყვეტილებას როგორი გულისხმიერებითაც მოეკიდნენ, „ლელო“ უკვე წერდა. არც სხვაგან იყო საქმე უკეთესად, რაც ამას წინათ ქუთაისის აეროპორტის მიდამოებში გამართულმა რესპუბლიკურმა შეჯიბრებამ დაადასტურა.

I ჯგუფში საასპარეზოდ მოგროვდნენ თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, გორის, ფოთისა და რუსთავის გუნდები. ჭიათურის, ტყიბულისა და ზუგდიდის ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტებმა, როგორც ჩანს, თავიანთი შეჯიბრებები არ გამართეს და გუნდებიც ვერ დააკომპლექტეს.

II ჯგუფში 8 კოლექტივი (ზუგდიდის, ბოგდანოვკის, წალკის, წულუკიძის, ლენტეხის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, სამტრედიის რაიონები) და გურჯაანის 5 სპორტსმენი იბრძოდა. სად იყვნენ ხაშურის, ბორჯომის, ქარელის, კასპის, მცხეთის, გარდაბნის, მახარაძის, თელავის, წყალტუბოს, გეგეჭკორის, დუშეთის, ზესტაფონის, ახალქალაქის, ახალციხისა და სხვა რაიონების კროსმენები?! ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საქალაქო და რაიონული საბჭოები სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის სათანადოდ რომ ზრუნავდნენ, ამგვარი შეუწყნარებელი ფაქტების მოწმენიც არ გავხდებოდით. აღნიშნულს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ სტარტზე გამოსულთა 70 პროცენტი მოუმზადებელი იყო (ზოგი ფინიშამდეც ვერ მივიდა, ბევრმა დისტანცია ნაბიჯით დაამთავრა), დავრწმუნდებით, რომ რესპუბლიკაში მძლეოსნურ კროსს ყურადღება არსად ექცევა. არადა, სწორედ კროსებში უნდა გამოვლინდნენ ნიჭიერი მძლეოსნები.

განსაკუთრებით გვაოცებს მახარაძის, ზესტაფონის, ხაშურის, დუშეთის, ბორჯომის ფიზკულტურის კომიტეტების გულგრილობა. მათ ხომ კროსებში მონაწილეობის კარგი ტრადიცია ჰქონდათ. ახლა ვერც ბაზებისა და ინვენტარის უქონლობას გადააბრალებენ თავიანთ უმოქმედობას: კროსს არც საგანგებო ბაზა უნდა და არც ინვენტარი. მზადება კი საწყმოდგომო კომკავშირულ-პროფკავშირული კროსის დამთავრებისთანავე უნდა დაეწყოთ.

მართალია, შეჯიბრებების თითქმის ყველა პრიზიორმა II თანრიგის შედეგი აჩვენა (19-20 წლის გოგონებში III ადგილზე გასულის — წალკელ ა. ზურნაჩიანისა და ვაჟებში მესამე პრიზიორის — თბილისელი რ. არმეგონაშვილის გარდა), მაგრამ განა ნორმალურია, რომ 18 საპრიზო ადგილიდან 13 თბილისელებს ერგოთ? თანაც, კროსში იავგამოდებული ვარჯიშით ვერც დედაქალაქის სპორტსმენები დაიქადნიან.

გვაოცებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდის მასწავლებლის ი. მიხაილჩენკოს საქციელი. მას უფლება აქვს იყოს „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს გუნდის წევრი, მაგრამ როგორ მოხდა, რომ ამ შეჯიბრებაში იგი ზუგდიდის რაიონის ინტერესებისთვის იბრძოდა?!. დასაგმობია ამავე რაიონის სპორტის მესვეურთა საქციელიც. მათ ხელაღებით დაადასტურეს, თითქოს მიხაილჩენკო მათი კოლექტივის წევრია და... გვარიან გასამრჯელოსაც იღებს. მსაჯთა კოლეგიამ მიხაილჩენკოს შედეგი ზუგდიდის რაიონს, რა თქმა უნდა, არ ჩაუთვალა. საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია ასეთ უმგვანო ფაქტებზე მკაცრად იმსჯელებს, ვინაიდან დროა ბოლო მოეღოს თვალის ახვევის ყველა ცდას.

როგორიც იყო შეჯიბრება, ისეთი გახლდათ შედეგებიც: არც ერთი ახალი გვარი, არც ერთი საიმედო მაჩვენებელი. საშუალო შედეგებით ფინიშთან პირველნი რესპუბლიკის მძლეოსანთა ნაკრების წევრები მივიდნენ. წალკის გუნდის წარმომადგენელს არც დაუფარავს — უვარჯიშებელი სპორტსმენები წამოვიყვანეთო. ჰოდა, თუ წალკელებმა უვარჯიშებლად მოიპოვეს პირველობა, სხვა გუნდებს კარგად ჰქონიათ საქმე.

ვ. ვაშაკიძე,
საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის თავმჯდომარე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქუთაისი.

• • •

ტექნიკური შედეგები

1000 მ რბენა. 17-18 წლის ქალიშვილები. რ. დემჩენკო — 3.18,2, მ. მეტრეველი (ორივე — თბილისი) — 3.21,0, გ. გოლობოროდკო (აჭარა) — 3.27,0; **19-20 წლის ქალები.** ლ. კორკოტაძე (თბილისი)— 3.18,4, ფ. ბეტეევა (სამხრეთ ოსეთი) — 3.27,2, ზურნაჩიანი—3.32,2; **2000 მ. ქალები.** ლ. შჩიკოვსკაია — 7.22,0, ა. კაზაკოვა — 7.24,0, ლ. პაბოკა (ყველა — თბილისი) — 7.46,2; **3000 მ. 17-18 წლის ჭაბუკები.** ზ. ქავზინაძე (თბილისი) — 9.22,6, ა. დიმიტრიევი (აფხაზეთი) — 9.27,4, გ. შომიაშვილი (თბილისი) — 9.36,0; **19-20 წლის ვაჟები.** ლ. ტიტოვი — 9.19,8, ა. მიქოიანი — 9.20,8, არმეგონაშვილი (ყველა — თბილისი) — 9.55,0; **8000 მ. ვაჟები.** ვ. მაირომიანი (აფხაზეთი) — 25.22,2, ვ. ნესტერენკო (რუსთავი) — 25.28,4, ნ. დავიდენკო (თბილისი) — 25.30,0.

გუნდური ჩათვლა. I ჯგუფი. თბილისი — 6, სამხრეთ ოსეთი — 18, აფხაზეთი — 22 ქულა; **II ჯგუფი.** წალკა — 12, ზუგდიდის რაიონი — 13,5, ბოგდანოვკა — 22,5 ქულა.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: 3000 მეტრზე მორბენალი ჭაბუკები შეჯიბრებისას.
ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

გვიხმობენ ტურისტული მარშრუტები

თოვლმა და ყინვამ, ცოტა არ იყოს, თავი მოგვაბეზრა წლეულს. მაგრამ მზემ და სამხრეთის ბუნებამ თავისი გაიტანა. გაზაფხული მოვიდა. მოგზაურობის მოყვარულებმა ზურგჩანთები მოამზადეს, საძილე ტომრები გაანიავეს და ტურისტულ რუკებს ათვალიერებენ.

მარშრუტი ბევრია და საინტერესო. ზოგი სად მიდის, ზოგი სად. ერთი მყინვარებს სერავს, მეორე ზღვაზე ცურავს, ზოგი სოფელს ეცნობა, ზოგი, პირიქით, ქალაქში ჩამოდის. მაგრამ სულ ერთია, რომელი მარშრუტითაც უნდა მოგზაურობდნენ ისინი, რესპუბლიკაში შექმნილია ყველა პირობა მათი კარგად დასვენებისთვის. შარშან საქართველოს ტურისტული ბაზები 195.000 ტურისტ-დამსვენებელს მოემსახურა. ამას გარდა, 67.000 კაცმა მიიღო მონაწილეობა საკვირაო ტურისტულ ლაშქრობებში. რესპუბლიკის სამგზავრო-საექსკურსიო და საექსკურსიო ბიუროები 2.734.300 კაცს მოემსახურნენ ტურბაზებსა და კურორტებზე. ტურისტულმა კლუბებმა და ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა მოაწყვეს მასობრივი ლაშქრობები, რომლებშიც 500 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად განსაკუთრებით გახშირდა მოგზაურობა ლენინურ ადგილებში.

შარშან რაიონების ათასობით მშრომელი ეწვია თბილისს საიუბილეო მატარებლით, მოეწყო ოთხი მრავალდღიანი კრუიზი საზღვარგარეთ, ბულგარეთსა და რუმინეთში. ტურისტებს ემსახურებოდა სამი საუკეთესო საოკეანო ლაინერი — „შოთა რუსთაველი“, „ივან ფრანკო“ და „ფელიქს ძერჟინსკი“. ამასთან, არა ერთი და ორი ავიამოგზაურობა მოეწყო ყაზანსა და ულიანოვსკში.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მარშრუტებმა: „ჯანმრთელობამ“, „მეგობრობამ“ და „თეატრალურმა მატარებელმა“. „ჯანმრთელობის“ მონაწილე თბილისელი მშრომელები მოგზაურობდნენ შავი ზღვის ხანაპიროზე, „მეგობრობის“ მონაწილეებმა კი მოძმე რესპუბლიკები მოინახულეს.

ტურბაზების, ტურისტული კლუბების და ბიუროების შთაბეჭდილებათა წიგნებში ბევრი ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტის მადლობის სიტყვებია ჩაწერილი. ამ კარგი მუშაობისთვის სოხუმის საკავშირო ალკკ მე-15 ყრილობის სახელობის ტურბაზამ (დირექტორი გ. მეშველიანი), ბათუმის ტურბაზამ (დირექტორი ბ. დავითაძე), თბილისის ტურბაზამ „დიღომი“ (დირექტორი გ. დგებუაძე) საკავშირო პროფსაბჭოს პირველი ხარისხის დიპლომები და 15 ათასი მანეთი პრემია, ტურიზმის საკავშირო საბჭოს სიგელები და ვიმპელები მიიღეს. სტუმრებს კარგად ემსახურებოდნენ თბილისის, სოხუმის, აჭარის სამგზავრო-საექსკურსიო ბიუროები, ბიჭვინთის საექსკურსიო ბიურო.

შარშან მწყობრში ჩადგა ბევრი ახალი ობიექტი. ათონის ტურბაზას დაემატა კიდევ ერთი კორპუსი 300 კაცისთვის, 60 ადგილით გაფართოვდა შოვის ტურბაზა, მწვანე კონცხზე აშენდა ახალი კორპუსი 100 ადგილით. ბაკურიანში ხომ უდიდესი სამუშაოები ჩატარდა: აიგო კლუბ-სასადილო, 250-ადგილიანი კორპუსი, პარკამდე და 25-მეტრიან ტრამპლინამდე გაიყვანეს ორი საბაგირო გზა. მომავალი სეზონისთვის დამთავრდება 600-მეტრიანი საბაგირო გზის მშენებლობა კოხტა-2-ზე. აპროექტებენ ბაკურიანი — კოხტა-2-ის და მიტარბა — კოხტა გორის საბაგირო გზის კომპლექსს.

კარგ საჩუქარს მიიღებს თბილისის მოსახლეობაც. კოჯორში მიმდინარეობს 200-ადგილიანი ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ბაზის მშენებლობა. გათვალისწინებულია ასეთივე ბაზის მშენებლობა კიკეთში.

მნახველებს თვალწარმტაცი სანახაობით დაატკბობს საბაგირო გზა ყაზბეგსა და სამებას შორის, რომელიც დიდი ბელადის იუბილესთვის ჩადგება მწყობრში. ყველაზე მთავარი და საინტერესო მაინც ის პერსპექტიული გეგმაა, რომელიც ტურიზმის რესპუბლიკურ საბჭოში აქვთ შედგენილი და მალე უპირებენ შესრულებას: ეს არის ეროვნული კოლორიტით მოწყობილი სოფლები და კლუბები ტურისტებისთვის აფხაზეთში, ოსეთში, აჭარაში. ქუთაისში უკვე მუშაობს ერთი ასეთი კლუბი. ის პირველი მერცხალია.

კვლავ სტარტზე დგანან ტურისტული ლაინერები, მატარებლები, კვლავ გველიან ტურისტული ბილიკები. მთებში წახვალთ? — ბუნების წიაღში საუცხოოდ დაისვენებთ. ისტორიულ ძეგლებს ნახავთ? — ერის დიდებას იხილავთ მათში. ჩვენი ქვეყნის ქალაქებს ესტუმრებით? — საბჭოთა ხალხის წინსვლა და მიღწევები აღგაფრთოვანებთ.

ხუთდღიანმა სამუშაო კვირამ ხელსაყრელი პირობები შექმნა მათთვისაც, ვისაც მრავალდღიანი მოგზაურობისთვის დრო არა აქვს. ერთ და ორდღიანი საკვირაო გასვლები ზედგამოჭრილია მათთვის. თბილისში ამ ღონისძიებებს ქალაქის ტურისტული საბჭო აწყობს, ხოლო იქ, სადაც ტურისტული საბჭოები, ბიუროები და კლუბები არ არის, თვითონ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს, საწარმო-დაწესებულებებს შეუძლიათ ასეთი მოგზაურობის ჩატარება.

— მაშ, წავედით! ოღონდ ფოტო და კინოაპარატები არ დაგავიწყდეთ, მეგობრებო!

ზ. ფიფია.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

●

არმიელებს — 2 ქულა

გაიმართა გასული ტურის ორი გამოტოვებული შეხვედრა: ალმა-ათაში ადგილობრივი „ლოკომოტივი“ მასპინძლობდა კიევის არმიელებს. ორივე მატჩი დაძაბული ბრძოლის შემდეგ სტუმრებმა მოიგეს — 78:76 და 72:69.

* * *

თბილისის „ბურევესტნიკისა“ და მოსკოვის „დინამოს“ კალათბურთელთა ორივე მატჩში კარგად ითამაშა თბილისელმა ლ. ჩხიკვაძემ.

ს უ რ ა თ ზ ე: აი, ახლაც იგი ეფექტურად ამთავრებს თანაგუნდელთა ერთ-ერთ შეტევას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 აპრილისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სტროიტელი“ (კიევი)	36	23	13	2597—2475	23
ცსკა	30	22	8	2282—2080	22
„კალევი“ (ტარტუ)	36	22	14	2628—2535	22
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	34	21	13	2563—2425	21
„დინამო“ (თბილისი)	30	20	10	2262—2241	20
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	34	20	14	2405—2338	20
„დინამო“ (მოსკოვი)	36	19	17	2604—2560	19
ასკ (კიევი)	34	17	17	2271—2260	17
ასკ (რიგა)	34	13	21	2492—2577	13
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	36	11	25	2477—2593	11
ვეფ (რიგა)	36	10	26	2455—2608	10
„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)	32	6	26	2352—2629	6

ჭიდაობა

საჭიდაო დარბაზში

მე და ალექსანდრე მეჟიროვი „ფალავანთა კლუბში" ვართ და თავისუფალ ჭიდაობაში იუნიორთა ნაკრები გუნდის წვრთნას ვადევნებთ თვალს. მეჟიროვი ცნობილი საბჭოთა პოეტია, ქართული მიწის დიდი მეგობარი. მას ძალიან უყვარს საქართველო, ქართველი პოეტები, განსაკუთრებით, ჩვენი ლამაზი ტრადიციები.

ჭიდაობა ერთ-ერთი ქართული ტრადიციაა და სწორედ ამიტომაა აქ მეჟიროვი. მე მას ვუთხარი, რომ მსოფლიოს ვერც ერთი ქალაქის მოჭიდავეები ვერ გაუტოლდებიან თბილისელებს, ბრძოლა რომ ჩატარდეს ოფიციალურად აღიარებულ ოთხ სახეობაში — თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, სამბოში, ძიუდოში. თბილისი კომპლექსურ ჩათვლაში მსოფლიოს ყველა ქალაქს მოუგებს!

ბუნებრივია, ჩვენი საუბარი შემდეგშიც ჭიდაობის ირგვლივ წარიმართა. იგი ეხებოდა ამ ვაჟკაცური სპორტის სულ სხვადასხვა მხარეს. მეც ასევე გადმოგცემთ ამ საუბარს, რადგან ასეთსავე კითხვებს მოყვარულები ხშირად გვაძლევენ ჩვენ, სპეციალისტებს.

— მითხარით, გინახავთ პოდუბნი და ხანდაზმულიც მართლა ასე მრისხანე მოჭიდავე იყო იგი, როგორც წერენ ხოლმე? — მკითხა მეჟიროვმა.

— დიახ, მე მინახავს პოდუბნი ჯერ კიდევ ძმების ტანტების ცირკში, რომელსაც მტკვრის პირას, ვერის დაღმართის ძირში ჰქონდა ბინა. მაშინ იგი თითქმის სამოცი წლისა იყო. ძალიან კარგად მახსოვს მისი ჭიდილი ახალგაზრდა, ჯან-ღონით აღსავსე გოლიათთან სანდრო კანდელაკთან.

მე ამ ბრძოლას ბავშვის თვალით ვუყურებდი (10-11 წლის ბიჭი ვიყავი) და გულწრფელად მჯეროდა, რომ სანდრო ვერაფერს დააკლებდა სახელგანთქმულ პოდუბნის. შერკინება ფრედ დამთავრდა. ახლა, როცა ჭიდაობა ვიცი და ძალიან კარგად მახსოვს ის შეხვედრა, მესმის: პოდუბნი იმ დროისთვის უკვე ხანში შესული კაცი იყო და თანაბარ მეტოქეობას ვერ გაუწევდა ახალგაზრდა გოლიათს.

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი ის, რაც შემდეგ შევიტყვე საცირკო ჭიდაობის შესახებ. სხვათა შორის, ეს ბევრმა მოყვარულმა დღესაც არ იცის. ჭიდაობა ცირკში იყო სანახაობა, სადაც როლები წინასწარ განსაზღვრული გახლდათ, სადაც გამარჯვება და დამარცხება წინასწარ ნაწილდებოდა ისე, როგორც ეს მაყურებლის მისაზიდად იყო საჭირო. ბევრი საცირკო ილეთი, ისეთი, როგორიცაა „ტურ-დე-ტეტი", „ხრახნი" და სხვა, აკრობატიკაა, რაც მიიღწევა მხოლოდ პარტნიორების (და არა მეტოქეთა) თანაბარი მონდომებით.

მე მაგონდება პოზიცია, რომლიდანაც არა თუ კანდელაკი, არამედ ქვემძიმე წონის ყველა პირველთანრიგოსანი მოჭიდავე ბეჭებზე დააწვენდა პოდუბნის. მაგრამ კანდელაკს არ ჰქონდა ნება დაემარცხებინა ესოდენ სახელგანთქმული მოჭიდავე, რომლის მეოხებითაც ტანტების ცირკს ფული შემოსდიოდა. მახსოვს მაყურებლის, განსაკუთრებით კი მილიციის მაშინდელი უფროსის, ჭიდაობის თავდადებული გულშემატკივრის ხმალაძის თავშეუკავებელი რეაქცია. მილიციის უფროსს ორი თუ სამი წითელი დროშის ორდენი ეკეთა — ეს მაშინ ძალზე იშვიათი იყო — ლოჟაში იჯდა და ხმამაღლა გამოთქვამდა აღშფოთებას, საწყალი სანდროსგან მოითხოვდა იმას, რისი უფლებაც ათლეტს საცირკო როლის მიხედვით არ ჰქონდა.

რასაკვირველია, ეს ჩემი მოგონება იმ დროს არ ეხება, როცა ახალგაზრდა პოდუბნი მრავალგზის აღიარებული იყო უძლიერეს მოჭიდავედ პროფესიონალთა ოფიციალურ მსოფლიო პირველობებში.

— დაიცა, ეს სანდროს ვაჟი ხომ არ არის?

დარბაზში მართლაც ოთარ კანდელაკი ვარჯიშობდა, სოფლის სპორტსმენთა პირველობისთვის ემზადებოდა. იგი ჩოქბჯენში ჭიდაობდა ზევიდან და რამდენჯერმე კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა თბილისის ბოლო ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ახალგაზრდა მძიმეწონოსანი ელგუჯა გოცირიძე.

როცა გაიგო, ვინ იყო ოთარის მეტოქე, ჩემმა თანამოსაუბრემ იკითხა, რატომ არ გამოდიოდა კანდელაკი ტურნირში. იგი დაინტერესდა, რით აიხსნება შედარებით მოკრძალებული შედეგები სანდროს ვაჟისა, რომელმაც, ესოდენ ჩინებული მონაცემების მიუხედავად, მხოლოდ ერთხელ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი, თუმცა დიდხანს ითვლებოდა უძლიერესად ქვემძიმე და მძიმე წონით კატეგორიებში.

— საქმე ისაა, — მივუგე მე, — რომ ტურნირი დიდად განსხვავდება ვარჯიშისაგან. ბრძოლა ზევიდან ჩოქბჯენში რომ დაიწყოს, ოთარი კარგ შედეგს მოიპოვებდა ტურნირში, რადგან იგი ჯერ კიდევ ძალიან მრისხანე მეტოქეა, როცა თავის ცნობილ გასალებს იყენებს. მაგრამ ტურნირი მოითხოვს ბრძოლას წესების მიხედვით, მეტოქის ჩოქბჯენში გადასაყვანად კი დღევანდელ ოთარს გამძლეობა არ ეყოფოდა. უფრო მოსალოდნელია, იგი თავად მოხვდეს ჩოქბჯენში, თუ მეტოქემ მაღალი ტემპი შესთავაზა.

მეორე შეკითხვაზე პასუხის გასაცემად პრობლემათა უფრო ფართო წრეს უნდა შევხებოდი. მსოფლიო კლასის სპორტსმენისა და ჩემპიონის სახელის მოპოვებისთვის, სულ ცოტა, ხუთი პირობა მაინცაა საჭირო:

მომავალი ჩემპიონი ნიჭიერი უნდა იყოს, ესე იგი, ეს უნდა იყოს კაცი უხვად დაჯილდოებული ფიზიკური თვისებებით: ძალით, მოქნილობით, სისწრაფით, ამტანობით, ამ თვისებების სწრაფი ურთიერთშერწყმის უნარით. ამას გარდა, იგი უნდა იყოს მამაცი, რისკიანი, შეუპოვარი, უნდა შეეძლოს სალი აზროვნება...

— მაგრამ, ჩემი აზრით, მწვრთნელი ვალდებულია სწორედ ყველა ეს თვისება გამოუმუშაოს თავის მოწაფეს, — მიპასუხა ჩემმა თანამოსაუბრემ. — მწვრთნელის როლი რაღაა?

— დიახ, — მივუგე მე. — ისევე, როგორც კონსერვატორიაში უნდა ასწავლიდნენ სიმღერას. სიმღერა ყველას შეუძლია, შალიაპინები იბადებიან. უნდა იპოვნო მომავალი შალიაპინი და სიმღერა ასწავლო, მაშინ იქცევა ის მსოფლიო სახელის მომღერლად. ასეა სპორტშიც. უნდა მოძებნო ნიჭიერი ადამიანი. მხოლოდ მისგან შეიძლება გაზარდო ჭეშმარიტად დიდი სპორტსმენი.

ამას გარდა, მომავალი ჩემპიონი თავისი საყვარელი სპორტის ფანატიკოსი უნდა იყოს, ესე იგი, მან სპორტს უნდა შესწიროს მთელი თავისუფალი დრო, ზოგჯერ კი გამოძებნოს კიდეც ეს დრო. მან სპორტი უნდა ამჯობინოს ყველა სხვა საქმეს. სპორტსმენმა ზოგჯერ საყვარელ ქალიშვილთან პაემანიც კი უნდა გასწიროს სპორტის გულისთვის.

— ო, ეს მართლა დიდი მსხვერპლია, — მითხრა ჩემმა თანამოსაუბრემ — პოეტმა. — სხვა?

— შემდეგ, მომავალ ჩემპიონს უნდა ჰქონდეს დასვენებისა და დახარჯული ენერგიის აღდგენის შესაძლებლობა. და ბოლოს, მას უნდა ჰყავდეს გონიერი მოძღვარი, მწვრთნელი, რომელიც შეძლებს ამ ენერგიის სასურველ კალაპოტში ჩაყენებას.

მაგალითად, ოთარს, მე მგონია, ფანატიზმი აკლდა. მას არ შეეძლო ძალიან დიდი მსხვერპლის გაღება ჭიდაობის სიყვარულით.

— ვინ მიგაჩნიათ ყველაზე გამოჩენილ სპორტსმენად თავისუფალ ან კლასიკურ ჭიდაობაში? — მკითხა მეჟიროვმა. — თქვენ ხომ მათგან ბევრს იცნობთ, დანარჩენები კი გინახავთ.

ეს ჩემთვის სხვებზე რთული შეკითხვა იყო. გონების თვალით გადავხედე მოჭიდავეებს, დიდსა და ბრწყინვალე სპორტსმენებს.

სპორტული ჭიდაობის განვითარების განთიადზე თბილისიდან საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე გავიდნენ ისეთი ლეგენდარული გოლიათები, როგორიც არიან შალვა ჩიხლაძე და ლეონიდ ძეკონსკი, ბრწყინვალე ტექნიკოსი და ფაქიზი ტაქტიკოსი, სსრ კავშირის რვაგზის ჩემპიონი გრიშა პილნოვი.

პირველი ორი პირდაპირ ანადგურებდა მეტოქეებს, მესამე აღტაცებას გვგვრიდა ილეთების მხატვრულად ლამაზი შესრულებით.

შემდეგ გამოჩნდა დიდებული ტაქტიკოსი, ორიგინალური ილეთების შემოქმედი, ხალიჩის ბრძენი კონსტანტინე კობერიძე, რომელიც 90 კგ-ზე მეტს არ იწონიდა, მაგრამ სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

არსენ მეკოკიშვილს ოქროს მედლების სათვალავი დაეკარგა. მან, როგორც მძლავრმა ანტეოსმა, ალალმა ჭიდაობაშიც და ცხოვრებაშიც, თითქოს უშუალოდ მიწას ამოსწოვა ძალა. ქრონოლოგიის წესით შემდეგ უნდა აღვნიშნოთ ორი ხალიჩაზე ასე განსხვავებული და ცხოვრებაში განუყრელი მეგობარი: აჩურ (დავით) ციმაკურიძე და ვასო ილურიძე.

პირველი — ბუნებისგან უჩვეულოდ უხვად დაჯილდოებული და სპორტულ ბრძოლაში უშიშარი, სპორტში ბედის ნებიერი იყო და არასოდეს ერიდებოდა რისკს. მან ოლიმპიური დაფნა მოიპოვა. მეორე — დახვეწილი ტაქტიკოსი და ჭიდაობის ჩინებული მცოდნე — გაანგარიშებულად, ზუსტად წარმართავდა ბრძოლას...

ლეგენდარული ჰერაკლესავით იბრძოდა ხალიჩაზე სპორტული მრისხანების დროს დაუნდობელი, დაუძლეველი გივი კარტოზია. ეს იყო მებრძოლი, რომელიც ხალიჩაზე უკან არასოდეს გადადგამდა ნაბიჯს და ბრძოლაში მოიპოვა ყველა უმაღლესი ტიტული, რის მოპოვებაც კი შესაძლებელი იყო.

მაგონდებიან: მძვინვარე ესტატე ქარქუსაშვილი, ქარიშხალივით რომ დაატყდებოდა თავს მეტოქეს, დიდხანს ტოლი რომ არ ჰყავდა ქვესაშუალო წონაში...

მოქნილი, დახვეწილი, კორექტული, გონებამახვილი, დიდებული ტექნიკოსი, ბუქარესტში განცვიფრებულმა მაყურებლებმა ჭიდაობის პროფესორი რომ უწოდეს. ეს იყო ვახტანგ ბალავაძე, რომელიც საოცრად იოლად ამარცხებდა ძნელად დასაძლევ მეტოქეებს.

ჩინებული ტექნიკოსი, რომელმაც თავისუფალ ჭიდაობაში მოიტანა ცეცხლი, სიცოცხლე და ტექნიკა ქართული ჭიდაობისა. ესაა მირიან ცალქალამანიძე, რომელმაც ჩვენში თავისუფალი სტილის უმჩატესი წონის მოჭიდავეებიდან ერთადერთმა მიაღწია კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურს მოჭიდავეთა მსოფლიო ფორუმზე, ოლიმპიურ თამაშებში...

აუჩქარებელი და დაუმარცხებელი, ჰიდრავლიკური წნეხივით რომ მოწურავდა მეტოქეს ჩოქბჯენში — გოგი სხირტლაძე...

შესანიშნავი ტაქტიკოსი, ჭკვიანი მოჭიდავე როსტომ აბაშიძე, რომელსაც წინასწარ შეეძლო ეთქვა, რომელ პერიოდში და როგორ დაამარცხებდა მეტოქეს...

ზუსტი, ავტომატივით შეუცდომელი მოჭიდავე რომან ძნელაძე...

შეუპოვარი, ბეჯითი, დახვეწილი ტექნიკის მქონე ავთანდილ ქორიძე.

სრულიად უჩვეულო მოჭიდავე, რომელმაც ძალა მამისგან და წინაპრებისგან მიიღო მემკვიდრეობით, ღმერთივით ლამაზი, კორექტული გურამ საღარაძე...

უძლიერესთა შორის ყველაზე ძლიერი, რომელსაც ყველაზე უკეთ მისივე გვარი ახასიათებს — შოთა ლომიძე...

შეუპოვარი, მანქანასავით მუშა, ამასთან, უჩვეულოდ მოკრძალებული, ადამიანური, საყვარელი ზარიბეგ ბერიაშვილი...

რომან რურუა, რომელმაც შეუდარებელი სიმსუბუქით ჩაატარა ყველაზე ძნელი მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონატები, ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა ამ შეჯიბრებებში...

ეშმაკი ტაქტიკოსი, მთელი რიგი საინტერესო კომბინაციების შემოქმედი ზაურ შეყრილაძე.

თანაბარი და კაჟივით მაგარი, აუღელვებელი ომარ ეგაძე...

ფიცხი და ბრძოლაში შეუპოვარი, ნხიარული დათო გვანცელაძე... ანდრო ქელიძე, ვარლამ გიგიაძე, ვაგარშაკ მაჩკალიანი, ვლადიმერ არსენიანი, ომარ ბლიაძე, ტარიელ ალიბეგაშვილი, ნიკოლოზ მუზაშვილი, სერგო გაბარაევი და ბევრი სხვა.

რა მოჭიდავეები არიან, რა ტიტულებია, რა ბრწყინვალე სახელები!

უნებურად გამახსენდა ისეთი დიდებული მოჭიდავეები, როგორიც არიან ბლი ალიევი, ალექსანდრე მედვედი, ალექსანდრე ივანიცკი, ბორის გურევიჩი, და კიდევ ერთი ბორის გურევიჩი, ლეონიდ ეგოროვი, ავგუსტ ენგლასი, იოჰანეს კოტკასი, არამ იალტირიანი, არტემ ტერიანი, ალიბეკ ბესტაევი, ოლეგ კარავაევი, იაკობ პუნკინი, ნორიკ მუშეღიანი და კიდევ მრავალი.

რომელია მათში საუკეთესო? შეიძლებოდა სპორტული ტიტულების მიხედვით აგვერჩია. მაშინ უფრო იოლი იქნებოდა პასუხის გაცემა. მაგრამ ჩემმა თანამოსაუბრემ ასე არ ისურვა, რადგან თვითონაც ბევრი რამ იცოდა ისეთი, რაც ნე შეიძლებოდა მისთვის მეთქვა. მას ჩემი აზრი აინტერესებდა.

— ამ კითხვაზე პირდაპირ ვერ გიპასუხებთ. ეს არც იქნებოდა კანონზომიერი ჭიდაობის სხვადასხვა წონით კატეგორიასთან და სტილთან დაკავშირებული სიძნელეების გამო, — მივუგე მე. — მაგრამ გიამბობთ ერთ მოჭიდავეზე, რომელმაც ჩემზე სრულიად უჩვეულო შთამეჭდილება მოახდინა და სწორედ ამით იყო დასამახსოვრებელი... ერთხელ მატარებლით მოვდიოდი. ვაგონის საფეხურზე უბილეთო აზერბაიჯანელი იჯდა და მღეროდა. ეს იყო უცნაური მოტივი, რომელიც ვერასგზით ვერ ამოვიცანი.

— რაზე მღერის? — ვკითხე ჩემს თანამგზავრ აზერბაიჯანელს.

— ყველაფერზე, რასაც ხედავს და რაც აგონდება. ეს იმპროვიზაციაა. იგი მღერის იმაზე, რაზეც სურს, და მღერის, როგორც სურს, — იყო პასუხი.

მე ბევრჯერ მინახავს მოჭიდავე, რომელიც სწორედ ისე ჭიდაობდა, როგორც ეს კაცი მღეროდა თავის სიმღერას. ჭიდაობა თითქოს მისი ბუნებრივი მდგომარეობა იყო.

ერთხელ, ერთ საერთაშორისო ტურნირში მე თვალს ვადევნებდი მის ჭიდაობას. ჩემს გვერდით იჯდა ავგუსტ ენგლასი — მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, უმაღლესი დონის მოჭიდავე, რომელსაც მსოფლიოს უძლიერესი ათლეტების ბრძოლა უნახავს.

ჭიდაობდა ვლადიმერ რუბაშვილი. მისმა მეტოქემ სამჯერ სცადა ერთი და იგივე ილეთის ჩატარება: მკლავ და კისერმოვლებით მოგვერდი. ვოვამ სამჯერ ჩაატარა კონტრილეთი, სამივეჯერ სხვადასხვა. სპეციალისტის თვალსაზრისით ეს სრულიად გაუგებარი იყო.

ცნობილია, რომ მოჭიდავეებს საწვრთნელ მეცადინეობაზე ბევრი ილეთის ჩატარება შეუძლიათ. მაგრამ სერიოზული შეჯიბრების დროს ისინი თავს ასეთი ფუფუნების უფლებას არ აძლევენ. შეჯიბრების დროს მოჭიდავე იყენებს ეგრეთ წოდებულ ძირითად ილეთებს, ესე იგი, იმ ხერხებს, რომლებიც ძალიან საიმედოდაა დამუშავებული და რომლებიც თითქმის გამორიცხავენ კონტრილეთებს.

უმეტეს შემთხვევაში მეტოქის ილეთის წინააღმდეგ მოჭიდავე დაცვას მიმართავს. გაცილებით უფრო იშვიათია კონტრილეთი, როგორც წესი, მუდამ ერთი და იგივე გარკვეული ხერხის წინააღმდეგ. აქ კი სრულდებოდა სამი, ზედიზედ სამი კონტრილეთი ერთი და იმავე ხერხის წინააღმდეგ.

ენგლასი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს ამ ბრძოლას, აღტაცებას ვერ ფარავდა და თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა:

— რა ბრწყინვალე მოჭიდავეა! რა ფანტაზიაა! დიდებულია, დიდებული!

ბოლოს იგი მომიბრუნდა და მკითხა:

— მითხარი, გინახავს ოდესმე მსგავსი რამ?

მაგონდება მეორე შემთხვევაც. ალუშტაში შეკრება მოეწყო მსოფლიო პირველობის წინ. შეკრებაზე საბჭოთა ჭიდაობის ყველა საუკეთესო წარმომადგენელმა მოიყარა თავი. ტარდებოდა საკონტროლო შეხვედრები უძლიერესთა გამოსავლენად. ვოვა ქვემსუბუქი წონის მოჭიდავე იყო, მაგრამ მსუბუქი წონის კატეგორიაში გამოიყვანეს, რადგან თავის წონაში შესაფერი მეტოქეები არ ჰყავდა.

და აი, შეხვედრა დაიწყო. რუბაშვილი ებრძვის მოჭიდავეს, რომელმაც ორი წლით ადრე თავისებური რეკორდი დაამყარა — მსოფლიო პირველობა ისე მოიგო, რომ არც ერთი საჯარიმო ქულა არ მიუღია. ეს იყო ვლადიმერ სინიავსკი. ვოვამ დამაჯერებლად გაიმარჯვა და სინიავსკის 4 ქულა აართვა.

შემდეგი სპარინგ-პარტნიორია სსრ კავშირის მეორე ნომერი თავისუფალ ჭიდაობაში, ბერიაშვილის ყველაზე მრისხანე მეტოქე გუსოვი.

ვოვამ იგი სამჯერ წმინდად დააწვინა ხალიჩაზე. ეს იყო პირველი მომქანცველი შეჯიბრებიდან 20 წუთის შემდეგ.

აი, ასეთი მოჭიდავე იყო ვოვა რუბაშვილი.

ი. ალიხანოვი,
საქართველოს ფიზკულტურის
ინსტიტუტის დოცენტი.

ფეხბურთი 69

„ბ" კლასი
II ზონა

IV ქვეჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სტროიტელი" (აშხაბადი)	5	3	2	0	7—3	8
„ზარაფშანი" (ნავოი)	4	3	1	0	5—2	7
„ლოკომოტივი" (თბილისი)	4	3	1	0	4—1	7
„ალგა" (ფრუნზე)	5	2	3	0	3—1	7
„დინამო" (კიროვაბადი)	4	3	0	1	5—2	6
„ნეფტიანიკი" (ფერგანა)	4	2	2	0	5—3	6
„პოლიტოტდელი" (ტაშკ. ოლქი)	5	2	2	1	4—2	6
„ენერგეტიკი" (დუშანბე)	5	1	4	0	2—1	6
„პამირი" (ლენინაბადი)	5	2	2	1	3—3	6
„მეტალურგი" (ჩიმკენტი)	5	1	2	2	6—5	4
„დინამო" (ბათუმი)	4	1	2	1	3—2	4
„ნემანი" (გროდნო)	5	0	4	1	3—4	4
„შახტიორი" (ყარაგანდა)	5	1	2	2	2—3	4
„სპარტაკი" (ბრესტი)	4	1	1	2	3—3	3
„დაუგავა" (რიგა)	5	0	3	2	3—5	3
„შირაკი" (ლენინაკანი)	4	0	3	1	2—4	3
„ფოლადი" (სუმგაითი)	4	0	3	1	1—2	3
„ვოსტოკი" (უსტ-კამენოგორსკი)	5	0	3	2	2—5	3
„მეშახტე" (ტყიბული)	5	0	3	2	1—6	3
„მოლდოვა" (კიშინიოვი)	5	0	2	3	2—6	2
„ჟალგირისი" (ვილნიუსი)	3	0	1	2	0—2	1

საქართველოს ჩემპიონატი

I ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სულორი" (ვანი)	5	3	2	0	7—2	8
„ცისკარი" (სიღნაღი)	5	3	2	0	9—5	8
„კოლმეურნე" (წალენჯიხა)	6	2	4	0	4—2	8
„კოლხეთი" (ცხაკაია)	4	3	1	0	6—2	7
„სინათლე" (თბილისი)	5	1	4	0	7—4	6
„ფეიქარი" (წულუკიძე)	5	2	2	1	5—4	6
„შრ. რეზერვები" (გარდაბანი)	5	2	2	1	3—4	6
„აერო" (გალი)	4	2	1	1	6—4	5
„დურუჯი" (ყვარელი)	5	1	3	1	5—6	5
„სამცხე" (აწყური)	5	2	1	2	4—7	5
ასკ (თბილისი)	5	1	2	2	4—4	4
„სალხინო" (გეგეჭკორი)	5	1	2	2	6—7	4
„ბახმარო" (ჩოხატაური)	5	1	2	2	5—7	4
„ქართლი" (გორის რაიონი)	4	1	2	1	4—6	4
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	4	1	1	2	2—3	3
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	4	1	1	2	5—7	3
„მესხეთი" (ახალციხე)	5	0	3	2	3—5	3
ფიზკ. ინსტ. (თბილისი)	5	1	1	3	3—6	3
„ლაითური" (მახარაძის რაიონი)	4	1	0	3	6—6	2
„მშენებელი" (ბორჯომი)	5	0	2	3	1—4	2

სპასკი სპასკის წინააღმდეგ

ახალი ამბების სააგენტო გვთავაზობს ინტერვიუს, რომელიც მისმა სპეციალურმა კორესპონდენტმა ა. მარიამოვმა ჩამოართვა დიდოსტატ ბ. სპასკის ტ. პეტროსიანთან მატჩის წინ.

მისი სახელი და სურათები აგერ უკვე ოცი წელია არ შორდება ჟურნალ-გაზეთების ფურცლებს და დიდოსტატის პოპულარობას ადასტურებს. ამიტომ დღეს იგი სავსებით გულწრფელია, როცა ამბობს: მივეჩვიე, რომ თავს ისე ვგრძნობდე, როგორც თევზი აკვარიუმში. დიდოსტატი გულწრფელად ამბობს ამას, თუმცა სულ 32 წლისაა. ამ აკვარიუმს იგი, როგორც იტყვიან, ყველას წინაშე სააშკარაოზე გამოჰყავს, მაგრამ თან თითქოს ტუსაღადაც იტოვებს. რაც გინდა თქვით, მაგრამ დიდება მძიმე ტვირთია.

მაშ ასე, ზუსტად სამი წლის თავზე დიდოსტატი ბორის სპასკი კვლავ დგას საჭადრაკო ოლიმპის მთავარი მწვერვალის მისადგომებთან, რომლის ახალი იერიშიც 14 აპრილს დაიწყო.

სპასკი გულმოდგინედ ემზადებოდა ამ მეორე ცდისთვის. დღეს იშვიათად ამბობს ვინმე, როგორც პეტროსიანისა და სპასკის წინა შეხვედრის დროს ამბობდნენ, რა გინდათ, სცადოს ბედიო. მოკლე დროში სპასკიმ დაამტკიცა, რომ უძლიერესია მსოფლიო გვირგვინის პრეტენდენტებს შორის, დაამტკიცა ეს ტურნირებსა და მატჩებში მოპოვებული ბევრი გამარჯვებით.

● მგონი, თერთმეტი წლისა იყავით, — ვუთხარი მე და ვიგრძენი, როგორ სჭრის ყურს ყოვლისმცოდნე ჭადრაკის მოყვარულის ეს „მგონი“, — მგონი თერთმეტისა იყავით, როცა თქვენი ფოტოსურათი პირველად გაჩნდა გაზეთში წარწერით: ნორჩი ოსტატობის კანდიდატი ბორია სპასკი?

— შეიძლება, — ამბობს იგი.

● როგორ წავიდოდა საქმე, რომ არ ყოფილიყო ეს ფოტოსურათი, არ დაბეჭდილიყო ყველა დანარჩენი? არ ყოფილიყო სწრაფი სვლა კიბეზე — კანდიდატი, ოსტატი, დიდოსტატი? არ ყოფილიყო ტიტულები, გამარჯვებები, მედლები? არ ყოფილიყო ჭადრაკი? როგორ წარმოგიდგენიათ ბორის სპასკი ყოველივე უამისოდ, ვთქვათ, ინჟინერი ბორის სპასკი?

— კარგი ინჟინერი იქნებოდა, კირკიტა და საქმის მცოდნე ინჟინერი.

● მე შევთავაზებდი დიდოსტატ სპასკის ორი საჭადრაკო პარტია ეთამაშა ინჟინერ სპასკისთან.

— თანახმა ვარ.

მაშ ასე, სპასკი სპასკის წინააღმდეგ. ჟურნალების მაგიდაზე ჭადრაკის დაფა დევს. მეტოქეები ახალგაზრდები არიან და მეჩვენება, რომ ისინი ერთმანეთს ჰგვანან, თუმცა ამ მსგავსებას მხოლოდ სახის ნაკვთებში ვიჭერ. პოპულარობამ, ირგვლივ მყოფთა მახვილმა ყურადღებამ დიდოსტატი გარეგნულ მოკრძალებას მიაჩვია. მკაცრი ყელსახვევი უკეთია, აცვია რუხი კოსტუმი და სასაცილო ყელიანი, ქეჩის ფეხსაცმელი „მშვიდობით, ახალგაზრდობავ“. ინჟინერი უფრო მოდის შესაფერისად, ცოტა მყვირალა ტანსაცმელშია გამოწყობილი და ამაში თავისებური ლოგიკაა.

— სპორტში წარმატებისთვის რომ ვერ მიმეღწია და ჩვეულებრივი, რიგითი ინჟინერი ვყოფილიყავი, ვეცდებოდი ძალიან მოდურად ჩამეცვა, — იძლევა პასუხს დიდოსტატი ბანალურ e2-e4-ზე, შეკითხვაზე, თუ როგორ წარმოუდგენია თავი უჭადრაკოდ. — სავსებით ადვილი შესაძლებელია, წვერიც მომეშვა, ყალიონი მომეწია, ჩამეცვა ჯინსი, საკმაოდ გახეხილი და უხეში. გარეგნულად ზუსტად ასეთი ვიქნებოდი.

დიდოსტატს სახეზე ვატყობ, რომ მან უკვე მოასწრო ამ პარტიის გაგრძელების, სულ ცოტა, ათი-თორმეტი ვარიანტის მოძებნა. ინჟინერს ერთადერთი ვარიანტი აქვს და გამწარებული ჩაჰფრენია მას, ჯიქურ თამაშობს და აღტაცებით ეგებება შეთავაზებულ გაცვლას.

— ესე იგი, ჩემგან მოჭადრაკე არ გამოვიდა, — განაგრძობს დიდოსტატი. — მაგრამ მიმაჩნია, რომ თანამედროვე ახალგაზრდა კაცს არ შეიძლება სპორტი არ უყვარდეს. და მძლეოსნობას ვირჩევ, ხტომას ან სპრინტერულ დისტანციას. მე ხომ ძლიერი უნდა ვიყო და, თუნდაც ჭადრაკს ვთამაშობდე, საკუთარი კუნთების ძალა უნდა ვიგრძნო. გატაცებული ვარ ლიტერატურით, გენეტიკით, ფილოსოფიური კამათით. კარგად ვცეკვავ და, საერთოდ, შემიძლია შეუმჩნეველი არ დავრჩე ქალთა საზოგადოებაში. ჩემი სამუშაო მიყვარს. სხვაგვარად არ შეიძლება. არ შეიძლება ილაპარაკო პიროვნების განვითარების ჰარმონიულობაზე, როცა იცი, რომ შენი მთავარი საქმე ჭეშმარიტ კმაყოფილებას არ განიჭებს. მე კი მუდამ ჰარმონიისკენ მივილტვოდი.

დიდოსტატს რომ ვუსმენ, ვფიქრობ, რომ ინჟინერ სპასკის პორტრეტი რატომღაც არც ისე დამაჯერებელი გამოვიდა. ვფიქრობ, რომ მან არც ისე კარგად იცის ეს საქმე — როგორ შეუძლია კაცს იყოს ბედნიერი, როცა ჭადრაკს არ თამაშობს? ისიც კი შევნიშნე, რომ იგი ცოტა სწყალობს დილეტანტ ინჟინერს, სურს დაამტკიცოს, რომ ინჟინერმა სპასკიმაც იცის ჭადრაკის გემო. ბოლოს და ბოლოს მან პარტია დათმო.

ახლა ჯერი ინჟინერზე მიდგა. მეორე პარტიას იგი შავებით თამაშობს. ახლა მას ხვდა წილად უმადური საქმე — ინტერვიუ ჩამოართვას მეორეს. პირველ პარტიაზე ვრცელ მსჯელობას ბლიცდიალოგი მოჰყვა.

● მე ჭადრაკის გულშემატკივარი ვარ. ტურნირების დროს დარბაზიდან გადევნებთ თვალს. შეგინიშნივართ ოდესმე?

— არა. მე საერთოდ ვერ ვხედავ მაყურებლებს თამაშის დროს. ვასწავლე თავს ეს. ამას გარდა, მაინცდამაინც დიდი პატივისცემით არ ვეკიდები გულშემატკივრებს, ჩემს გულშემატკივრებსაც კი. არ მჯერა მათი — საკმარისია ერთი ცუდად ითამაშო და მთელ ჯავრს შენზე იყრიან.

● ნუთუ დარბაზის მხარდაჭერა არ გეხმარებათ?

— ხელს მიშლის. მე ასე მიყვარს თამაში — ერთი ერთზე.

● ჭადრაკის დაფასთან მუშაობთ თუ თამაშობთ?

— საყვარელ სამუშაოს ვასრულებ და ეს უდიდეს კმაყოფილებას მანიჭებს.

● უჭადრაკოდ ინჟინრად წარმოიდგინეთ თავი, ისე კი ჟურნალისტის დიპლომი გაქვთ. რატომ?

— ცუდი ჟურნალისტის დიპლომი— ასე უფრო ზუსტი იქნებოდა. ჭადრაკისთვის ბევრ რამეზე ვთქვი უარი. პარტიის დროს ტვინს უზარმაზარი მათემატიკური მუშაობა სჭირდება. შესვენების დროს მან უნდა დაისვენოს. და აი, მაშინ ვკიდებ ხელს ჰუმანიტარულ მეცნიერებებს...

● მაგრამ, თქვენ ხომ უნივერსიტეტი დაამთავრეთ?

— უნივერსიტეტის დამთავრება სულაც არ ნიშნავს სწავლის დამთავრებას. ყველაფერი პირიქით გამომივიდა. ახლა ვიწყებ ნამდვილი ცოდნის გემოს გაგებას. ვსწავლობ ენებს, ინტერესით ვცდილობ გავერკვე ბიოლოგიაში, ვკითხულობ ფილოსოფიურ ტრაქტატებს. ოცდაათი წლისამ მოულოდნელად ათასი საინტერესო რამ აღმოვაჩინე სამყაროში. შეიძლება საკუთარ თავს მივაგენი.

● თქვენ ალბათ გყავთ იდეალი, რომელსაც გულის სიღრმეში მაინც გსურთ დაემგვანოთ.

— სულ სხვადასხვა ხალხი მომწონს: ალექსანდრე მაკედონელი და ჟან გაბენი, ალბერტ აინშტაინი და ვალერი ბრუმელი, ალექსანდრე ალიოხინი და კონსტანტინე ფეოკტისტოვი.

● ჭადრაკში?

— ალიოხინი, ტალი და, როგორც ოსტატი, ბობი ფიშერი.

● ოპტიმისტი ხართ?

— დიახ. ოღონდ, როცა მოწყენილობა შემიპყრობს, ოპტიმისტი ხდება ჩემი მწვრთნელი იგორ ბონდარევსკი. და პირიქით. ასე რომ, ჩვენ მშვენივრად ვავსებთ ერთმანეთს.

● მოამზადეთ თუ არა რაიმე სიახლე პეტროსიანთან მატჩისთვის?

— დიახ. მინდა გამოვიყენო იოგების ხერხი. უკვე ვისწავლე სუნთქვის შეკვრა და თავდაყირა დგომა. ვფიქრობ, პეტროსიანი ძალიან გაოცდება.

პარტია დიდოსტატმა მოიგო. მეტოქეებმა დიდის ამბით ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს. მე და ბორის სპასკი კვლავ მარტონი დავრჩით. მინდა კიდევ რამდენიმე შეკითხვა მივცე. თუნდაც ასეთი: რომელი პარტიაა მისი კარიერიდან ყველაზე ძნელი? მან მიპასუხა, რომ ყველა ძნელი იყო, რომ ჭადრაკის კარგად თამაში, რაიმე საქმის კარგად გაკეთება — მუდამ ძნელია. მე მინდა ჩვეულებისამებრ სამატჩო მებრძოლი ვუწოდო მას, როგორც ყველა უწოდებს — მან ხომ უკვე ამდენი ბრწყინვალე მატჩი ითამაშა. მაგრამ ბორისმა იცის, რომ ყველაზე მთავარი და ყველაზე ძნელი მატჩი ჯერ არ მოუგია. და თუმცა ამ მატჩში არც ისე ბევრი პარტიაა, იგი უკვე ოცი წელია გრძელდება. ესაა მატჩი — სპასკი სპასკის წინააღმდეგ. სწორედ ამ მატჩში იხვეჭს იგი ძალას და ოსტატობას ყველა თავისი დიდი გამარჯვებისთვის.

„საფეხბურთო იმედების“ ტურნირი

ლაიპციგი, 18 აპრილი. უეფა-ს იუნიორთა XXII ტრადიციული შეჯიბრების ყველა ბილეთი გაყიდულია! ეს ტურნირი 18-26 მაისს გაიმართება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 17 ქალაქში.

„საფეხბურთო იმედების“ ტურნირის საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარემ ჰ. კაადენმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ლაიპციგიდან, რომელიც შეჯიბრების თავისებური ცენტრი იქნება, ჭაბუკთა გუნდები მორიგ მატჩებში სათამაშოდ თვითმფრინავებით ჩავლენ დანიშნულებისამებრ.

სსრ კავშირის იუნიორთა გუნდი (უფროსი მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ე. ლიადინი) პირველ შეხვედრას 18 მაისს რიზაში ჩაატარებს პორტუგალიის ნაკრებთან. 20 მაისს საბჭოთა ფეხბურთელები ვაიმარში ეთამაშებიან თურქებს და 22 მაისს ცვიკაუში — რუმინელებს.

სხვა სამ წინასწარ ქვეჯგუფში შევიდნენ: მეორეში — ამ შეჯიბრების შარშანდელი გამარჯვებული — ჩეხოსლოვაკიის გუნდი, გდრ-ის, მალტისა და ინგლისის კოლექტივები; მესამეში — ესპანეთის, ბულგარეთის, გფრ-ისა და საფრანგეთის წარმომადგენლები; მეოთხეში — ავსტრიის, პოლონეთის, იუგოსლავიისა და შოტლანდიის ნაკრები გუნდები.

ქვეჯგუფებში გამარჯვებულთა ნახევარფინალური მატჩები 24 მაისს გაიმართება დრეზდენსა და კარლ-მარქს-შტადტში, ხოლო ფინალური შეხვედრა — 26 მაისს ლაიპციგში.

მანფრედ ვოლფე — მსოფლიო რეკორდსმენი

„მანფრედ ვოლფე თავის თხილამურებს რეკორდისთვის ამზადებს“ — ასეთი წარწერა გაუკეთა ამ სურათს გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ (გდრ). მანფრედის გულმოდგინება გამართლდა. სულ ახლახან 20 წლის მექანიკოსმა გააოცა ყველა სპორტსმენი და ტრამპლინიდან ხტომის მოყვარული. გდრ-ში ცნობილი მწვრთნელის ვ. ლეხერის (კლუბი „ასკ ბროტეროდი“) მოწაფე 165 მეტრზე გადახტა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

მ. ვოლფე 19 წლისა იყო, როცა პირველად სცადა ძალა ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში. ამასთან, ტრამპლინი მან თავისი ხელით მოაწყო. ორი წლის შემდეგ მანფრედს დებიუტი ჰქონდა „მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრებაში. ცნობილმა სპეციალისტებმა მაშინვე მიაქციეს ყურადღება ნიჭიერ მხტომელს და ვოლფეს ურჩიეს სერიოზულად მოეკიდა ხელი სპორტის ამ სახეობისთვის.

მსოფლიოს ახალი რეკორდსმენი მ. ვოლფე სახალხო არმიის უნტეროფიცერია და თან მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე სწავლობს დაუსწრებლად.

„ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში ჩემი კერპია ოლიმპიური ჩემპიონი ჰელმუტ რეკნაგელი, — ამბობს მანფრედ ვოლფე. — ჰელმუტს ყველა სპორტსმენზე უკეთ შეეძლო ძალისა და ენერგიის მოკრება ნახტომის წინ. ეს სწორედ ისაა, რაც მე დღეისთვის არ მყოფნის. თუ ხტომის ტექნიკაში ზოგიერთი ხარვეზი დავძლიე, ვფიქრობ, შემიძლია 170 მეტრზე გადავხტე!“.

ანგარიშია 2:1 ჩემპიონის სასარგებლოდ



მოსკოვი, 19 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ ესტრადის თეატრში შედგა პეტროსიან—სპასკის მატჩის III პარტია.

მეტოქეებმა, როგორც I პარტიაში, სიცილიური დაცვა გაითამაშეს. როგორც ჩანს, პეტროსიანმა (შავები) საგანგებოდ მოამზადა ეს დაცვა მატჩისთვის. ახლა მან დრაკონის ვარიანტი გამოიყენა.

სპასკიმ არ მოიწადინა მწვავე ბრძოლა და მე-15 სვლიდან თამაში ენდშპილში გადაიყვანა. აქ ორივე მეტოქე უპირატესობის მიღებისთვის იბრძოდა, მაგრამ გარკვეულად ვერც ერთმა ვერაფერს მიაღწია.

პარტია გადაიდო კუთა თანაბარ ენდშპილში. დღეს, თამაშის განუახლებლად, მეტოქენი დაზავდნენ. მატჩის ანგარიში გახდა 2:1 ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ.

* * *

პეტროსიან — სპასკის მატჩის პირველ პარტიაში პირველი სვლა ბ. სპასკიმ გააკეთა. ამ სურათზე სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი.

ფოტო ვ. შანდრინისა და ვ. უნდა-სინისა (საკდესი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 07434